სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**მასობრივი კომუნიკაცია** Mass Communication
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი** Doctor of Mass Communication
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს** (ECTS) და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: **სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი:** ✓ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები- 5 კრედიტი ✓ დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი **არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 5 კრედიტი:** ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი ✓ არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი - 5 კრედიტი **სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს**: ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1 ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2 ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3 ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. *სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მინიმუმ ექვსი სემესტრია (3 წელი).*
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**ნათია კუპრაშვილი** - ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

	ფაკულტეტი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება; **ნინო ჭალაგანიძე** - ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა მასობრივ კომუნიკაციაში, სოციალურ მეცნიერებებში ან სხვა სპეციალობაში; ➢ უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება (წერითი)); ➢ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; ➢ სადოქტორო - კვლევითი პროექტის წარმოდგენა (იხ. დანართი №1); ➢ კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება; ➢ ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო - კვლევით პროექტზე) კომისიასთან. *გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100%-ს, საიდანაც 55 % არის სადოქტორო-კვლევითი პროექტის წონა, ხოლო 45 % - შეესაბამება გასაუბრების იმ ნაწილს, რომლის დროსაც ფასდება აპლიკანტის მოტივაცია; დარგობრივი კომპეტენციები; კრიტიკული აზროვნება, პრობლემის დასმის და საკითხის გადაჭრის უნარი.*
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	*პროგრამა ეფუძნება მედიის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს, ორიგინალური კვლევისა და ინტერდისციპლინური გამოცდილების შეძენის პრინციპს. პროგრამა ამზადებს მომავალ ლექტორებს და მკვლევრებს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულებით.* **სადოქტორო პროგრამის მიზანია:**

	➢ მოამზადოს მასობრივი კომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს მეცნიერული, ინტერდისციპლინური მიდგომებით კვლევას, თანამედროვე მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით ახალი ცოდნის და მეცნიერული გამოცდილების შექმნას; ➢ გამოუმუშაოს დოქტორანტებს თანამედროვე მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით კრიტიკული ხედვა, მედიასისტემების ანალიზისა და ჟურნალისტის პროფესიული უნარ-ჩვევები; ➢ ხელი შეუწყოს დოქტორანტებს მასობრივი კომუნიკაციის თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული და ინტერდისციპლინური მიდგომებით, ღირებულებებზე დაფუძნებული კვლევების წარმოებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში; ➢ მოამზადოს დოქტორანტები სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის, რათა მათ შეძლონ ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში და ახალი ცოდნა გადასცენ როგორც საუნივერსიტეტო აუდიტორიას, ისე დაინტერესებულ პირებს.
სწავლის შედეგები	**სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ,** კურსდამთავრებული: *ა) ცოდნა და გაცნობიერება* ➢ კრიტიკულად, სიღრმისეულად და კომპლექსურად, ინტერდისციპლინური რაკურსში აანალიზებს მასობრივი კომუნიკაციისა და მისი ცალკეული დისციპლინების ფარგლებში უახლეს თეორიებს, მედიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კონცეფციებს; ➢ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ემპირიული შესწავლისა და ანალიზისას ეყრდნობა მედიის კვლევის უახლეს მეთოდებს; ➢ განსაზღვრავს დარგში უახლესი მიღწევების როლს, ახალი ცოდნის შეძენისა და ინოვაციური კვლევის მეთოდების დაუფლების მნიშვნელობას. *ბ) უნარი*

	➢ დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს დარგთან დაკავშირებულ ინოვაციურ და, საზოგადოდ, მეცნიერულ/გამოყენებით კვლევით საქმიანობას; ➢ არჩევს საკვლევი სფეროს შესატყვის სტრატეგიას, კვლევის მეთოდს/მეთოდებს, ამუშავებს მოპოვებულ მონაცემებს და შესაბამისად განმარტავს მათ; ➢ კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს, რითაც ქმნის ახალ მეთოდოლოგიას, პრობლემის სწორად და ეფექტიანად გადაჭრისთვის; ➢ ამყარებს პროფესიულ კომუნიკაციას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში; ➢ ქმნის ახლებურ მიდგომებს მიღებული თეორიული ცოდნის განვითარებისა და პრაქტიკული გამოცდილების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მასობრივი კომუნიკაციის ორგანიზაციული კულტურის, მმართველობითი ურთიერთობისა და ეთიკის სფეროში. *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* ➢ დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს საკუთარ და სხვათა აკადემიურ და დარგობრივ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ან კვლევით საქმიანობას; ➢ იცავს პროფესიულ და კვლევის ეთიკას რესპონდენტებთან, თანამშრომლებთან და კოლაბორატორებთან; ➢ ხელს უწყობს დარგში პროფესიული ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას; ➢ ხელს უწყობს მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების, მასკომუნიკაციის ძირითადი ტენდენციების, კომუნიკაციის პროცესის კვლევის შედეგების ანალიზს; დარგში ისეთი ტიპის ახალი ცოდნის შექმნას, რომელსაც სამეცნიეროს გარდა, აქვს გამოყენებითი მნიშვნელობაც: შეაქვს წვლილი მასობრივი კომუნიკაციის სფეროში სხვადასხვა სახის სასწავლო კურსის/პროგრამის შექმნასა და აკადემიური საქმიანობის გაძლიერებაში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	➢ ვერბალური; ➢ დისკუსია/დებატები; ➢ წყაროებთან მუშაობა;

	➢ დემონსტრირება; ➢ ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. ➢ წერითი მუშაობა; ➢ ელექტრონული სწავლება (E-learning). *პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.*
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

	დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: **ხუთი სახის დადებითი შეფასება:** **ა)** "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა; **გ)** "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა; **დ)** "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა; **ე)**[1] "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა; **ვ)**[2] "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა; **ზ)**[3] "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

[1] „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

[2] მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

[3] „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფეროები	➢ საგანმანათლებლო დაწესებულებები; ➢ მასმედიის საშუალებები; ➢ საჯარო სექტორი (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონის დაწესებულებები) მედიის, სტრატეგიული კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით; ➢ არასამთავრობო ორგანიზაციები; ➢ საერთაშორისო ორგანიზაციები; ➢ მედიისა და კომუნიკაციის კვლევითი ცენტრები; ➢ კერძო სექტორი.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის წლიური საფასური შეადგენს 1000 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და, მათ შორის, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, ასევე, მოწვეული უცხოელი პროფესორები. **პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალური-ტექნიკური რესურსებით:** ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ✓ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა; ✓ ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრი და სხვა. უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი პროგრამაზე ჩარიცხულთა მთავარი საწარმოო ბაზაა. ის აერთიანებს რადიო და ტელესტუდიებს, სამონტაჟო კაბინეტებსა და ნიუსრუმს, რაც სტუდენტების პრაქტიკული დახელოვნებისთვის ყველა პირობას ქმნის. ცენტრის ამოცანებიდან უმნიშვნელოვანესია:

	✓ არსებული რესურსის ჩართვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში სწავლების თანამედროვე და ეფექტური შესაძლებლობების გამოყენებისთვის; ✓ ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეწყობა - სალექციო კურსზე დაფუძნებული მედია პროდუქციის შექმნა, სამეცნიერო დ აკვლევითი პროცესების ვიზუალიზება; ✓ სტუდენტთ აჩართვა ცენტრის საქმიანობაში. მედია არქივის შევსება (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულება, 1979 წელს დაარსებული ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სამართალმემკვიდრეა, აქედან გამომდინარე ჩვენ ვფლობთ მდიდარ საარქივო ფოტო-ვიდეო მასალას). საგანმანათლებლო - პრაქტიკული ტრენინგების ორგანიზება; ✓ დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზება: სემინარები, დისკუსიები, საჯარო შეხვედრები ექსპერტებსა თუ პრაქტიკოსებთან. ცენტრის ტექნიკური რესურსი საშუალებას იძლევა, სტუდენტებმა იმუშაონ როგორც პირდაპირი ეთერის რეჟიმში (ფუნქციონირებს სარეჟისორო პულტი, განათების უახლესი დანადგარები, სტუდიური და გარე-გადაღების კამერები და სხვ.), ასევე, ჩაწერონ და ვებგვერდზე განათავსონ ორიგინალური მედიაპროდუქტი. ინფორმაცია თსუ-ს მულტიმედია ცენტრის შესახებ განთავსებულია ბმულზე: http://multimedia.tsu.edu.ge/ აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს. ესაა: ბეჭდური მედია, რადიო, ტელევიზია, ფოტო, ბლოგი და სხვ. თითოეული მიმართულება ქვემიმართულებებად იშლება და კონკრეტული ჟანრისა ან ფორმის პროექტებს აერთიანებს. მასალების განახლება სტუდენტების მიერ პერმანენტულად ხდება. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდა, სტუდენტებს ემსახურება ის ორგანიზაციებიც, რომლებთანაც პროგრამის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა: 1. საქართველოს ეროვნული არქივი - უვადო; 2. საქართველოს ეროვნული მუზეუმი - უვადო;

	3. ა(ა)იპსაქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია - ვადა 2021 წლის აპრილამდე; 4. ჟურნალიტიკის რესურს ცენტრი (JRC) - უვადო; 5. ა(ა)იპ ,,აგროგილდია"- უვადო; 6. შპს ,,ტოკ ტვ"-TOK TV - უვადო; 7. შპს რადიოჰოლდინგი ,,ფორტუნა" - 2 წლის ვადით; 8. ეთიკის ქარტია - 5 წლის ვადით და სხვ. აღსანიშნავია, რომ უკვე არაერთი წელია, რაც უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის პროდუქციაზე წვდომა აქვს საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსს. მათ სერვერზე ატვირთული სტუდენტური მასალები ასახვას ალიანსის წევრი ყველა ტელე-არხის ეთერში ჰპოვებს.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ და გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა. სტუდენტმა: ➢ უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; ➢ არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	➢ სადოქტორო პროგრამას შესაძლებლობა აქვს ყოველწლიურად მიიღოს არაუმეტეს 10 სტუდენტისა; ➢ თსუ-ს მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა არ არის რომელიმე სხვა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების პირდაპირი ანალოგია და კოპირებული მოდელი, თუმცა პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის მიზნები, ამოცანები, მეთოდები და შედეგები, შესაძლებელია, მსგავსი სახით, მრავალი წამყვან უცხოური

	უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებშიც მოვიძიოთ, რაც იმის დასტურია, რომ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სადოქტორო პროგრამა ეყრდნობა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო გამოცდილებასაც და გარკვეულწილად ამ ორი ფენომენის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ ვისკონსინის უნივერსიტეტი (The University of Wisconsin–Madison https://masscommphd.wisc.edu/). ასევე, ნიშანდობლივია კოლუმბიის უნივერსიტეტი, (Columbia University), რაც მეტად გავს თსუს მიერ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამას. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს, შეისწავლონ და იკვლიონ ურთიერთობები საზოგადოებასა და მედიას შორის კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ისტორიულ, ეკონომიკურ ტექნოლოგიურ კონტექსტში. (იხ. https://journalism.columbia.edu/phd-communications#Explore_Our_Programs). **დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** ➢ სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულება (30 კრედიტი); ➢ სამი სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე; ➢ საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება. სახელდობრ, დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება – რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ისან Web of Science-ის ბაზებში).

	თუ დოქტორანტი არ არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მეცნიერებათა ბაკალავრი ან მაგისტრი, თავისუფალ მსმენელად ესწრება სამაგისტრო საფეხურზე სასპეციალიზაციო სასწავლო კურსს, „ციფრული მედია და ინოვაციების“ კურიკულუმის საბაზისო სასწავლო კურსი - „მასობრივი კომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები“. საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს პლაგიატის დეტექციის პროგრამაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასობრივი კომუნიკაცია

სწავლების საფეხური: მე-3 (დოქტორანტურა)

კრედიტების რაოდენობა: 30 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი;
ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021 (დანართი 1983)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, ვადა და ბმული): №22335; 24/12/2021 – 01/07/2028 https://eqe.ge/ka/deqars/438/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022 სასწავლო წლის გაფაზხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[4] ნომერი და თარიღი): №22/2022-11/03/2022; №33/2025-03/06/2025.

[4] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს (ECTS):													
სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				საკონტაქტო			გამოცდის დრო	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/	პრაქტიკუმი							
1		კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები[5]	5	30	--	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ნინო დურგლიშვილი ლია წულაძე დავით სვანაძე ხათუნა მაისაშვილი თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე ალექსანდრე კუხიანიძე კორნელი კაკაჩია

[5] ამ კურსის გასავლელად მნიშვნელოვანია დოქტორანტს ჰქონდეს ცოდნა, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაში შემოთავაზებულ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ გაწერილ კომპენტენციებს . თუ მას შესაბამისი კომპენტენცია არ გააჩნია, მაშინ ის

2		დარგობრივი სემინარი	15	--	--	--	--	375	375	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
3		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი (ECTS)													
1		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
2		არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსები[6]	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	--
კვლევითი კომპონენტი													
1	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1												
2	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2												
3	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3												

შესაბამისი პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე გადის ზემოხსენებულ კურსს და შემდეგ ირჩევს სასწავლო კურსს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

[6] შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში

4	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა——————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

თარიღი ——————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების **დანართი №1,**
განაცხადის ფორმა

სადოქტორო - კვლევითი პროექტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი: _____

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: _____

სადოქტორო-კვლევითი პროექტის სათაური: _____

ა) საკვლევი თემა: _____
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები ან/და ჰიპოთეზები.

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა.
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია, კვლევის განხორციელების ეტაპები და მოსალოდნელი შედეგები.
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი და ამოცანები).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა: _____

თარიღი: ____ _____ _____